

# საიმედო

# II

## ქართული ენის სახელმძღვანელო

თბილისი
2006

# საიმედო

## სავარჯიშოების წიგნი

ნაწილი II

თბილისი

2006 წელი

სავარჯიშოების წიგნზე მუშაობდნენ:

ნინო შარაშენიძე

კახა გაბუნია

სავარჯიშოების წიგნი გამოიცემა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატისა და საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის მიერ ერთობლივი პროექტის - „ენის კურსები – საჯარო მოხელეთათვის" ფარგლებში.

პროექტის კოორდინატორი: შალვა ტაბატაძე.

# თემა 1

1. დაწერეთ თემა: „დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები“

---

2. შეარჩიეთ და ჩასვით საჭირო სიტყვა მრავალწერტილის ნაცვლად:

> საათში, დღეში, კვირაში,
> თვეში, წელიწადში, საუკუნეში

დიდი ადამიანები . . . . . . . . ერთხელ იბადებიან.

. . . . . . . . ორჯერ დღე და ღამე ერთმანეთს უტოლდება.

. . . . . . . ერთხელ არის დასვენების დღე.

ექიმმა . . . . . . ორჯერ მირჩია წამლის დალევა.

. . . . . . . ორჯერ ვასწრებ სახლში მისვლას და მოსვლას.

. . . . . . . ოთხჯერ მაინც არის სრული კვირა.

3. სწორად გადაანაწილეთ -ზე და –ში, თანდებულები.

სპორტ ☐ მაინცდამაინც არ ვგიჟდები.

თეატრ ☐ კარგი სპექტაკლი გადის.

მთელი საღამო პოლიტიკა ☐ ლაპარაკობენ.

დღეს საღამოს კონცერტ ☐ მინდა წასვლა.

გიორგისთან ერთად კინო ☐ მივდივარ.

4. ისაუბრეთ თქვენი თავის და თქვენი მეგობრების შესახებ (სად ცხოვრობთ თქვენ? მუშაობთ თუ სწავლობთ? სპორტი გიყვართ? იცით საჭმლის მომზადება?).

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

5. ქართული სიტყვებითვე განმარტეთ:

ზოოპარკი ____________________________________________

დედაქალაქი ____________________________________________

სტუდქალაქი ____________________________________________

კორპუსი ____________________________________________

საღამოობით ____________________________________________

მზარეული ____________________________________________

კერძი ____________________________________________

ღამეს ათევს ____________________________________________

თანამშრომელი ____________________________________________

6. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით საჭირო ბოლოსართები:

ქვეყნის ბედ . . . წყვეტენ;

ცოდნა . . . ეუფლებიან;

ხელისგულ . . . მოჩანს;

ოთხი წლის მანძილ . . . ;

ქვეყნ . . . უმაღლესი ხელისუფლება;

მთავრობა იცვლებ . . . ;

თავ . . . დაჰყურებს.

7. სწორად გამოიყენეთ —ზე, –ში თანდებულები:

მეცნიერება ☐ ვლაპარაკობ;

სამსახურ ☐ დავდივარ;

კინო ☐ ვზივარ;

კალათბურთ ☐ წავედი.

8. დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ წინადადება:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამას | ელენე | მისი | შვილი | ჩამოვიდნენ | და |
| ნათესავი | ორი | თბილისში | წინათ | ჩემი | |

_______________________________________________

9. გაეცით მოკლე პასუხები (დიახ ან არა):

დადიხართ თეატრში? ____________________

გიყვართ ფეხბურთი? ____________________

იცით საჭმლის მომზადება? ____________________

მუშაობთ სადმე? ____________________

10. ჩასვით –ჯერ ან –ხელ მრავალწერტილის ნაცვლად:

კვირაში ორ . . . . . ვთამაშობ ფეხბურთს.

დღეში ერთ . . . . . . წამალს ვსვამ.

ბევრ . . . . . . მითქვამს შენთვის, არ დაიგვიანო-მეთქი!

თვეში ერთ . . . . სოფელში მივდივარ.

11. გამოიყენეთ -ზე, -ში, -თან თ ნდებულები და შეადგინეთ წინადადებები.

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

12. ჩაანაცვლეთ მოცემული ზმნები თავაზიანობის გამომხატველი ფორმებით.

როგორ ხარ? ______________________

სად მიდიხარ? ______________________

დაჯექი სკამზე! ______________________

გამარჯობა! ______________________

როგორ ხარ? ______________________

კარგად იყავი! ______________________

ჭამე! ______________________

აიღე! ______________________

მიეცი! ______________________

13. სად უნდა ვიხმაროთ სავრცობი – -ა (ჩასვით სათანადო ადგილას)?

ქალს . .ც და კაცს . ც – ყველას უხაროდა შემოდგომის დადგომა.

თუთას . . ვით ტკბილი იყო.

დიდს . . . თუ პატარას, ყველას ენატრებოდა გივი.

14. სათანადო ადგილას ჩასვით –კენ, -გან, -თვის, -თანავე თანდებულები

ხერხემალი შედგება მალების . . . . . .;

დედაჩემის წასვლის . . . . . . . გიორგი მოვიდა;

სასწრაფო დახმარების მანქანა საავადმყოფოს . . . . . . წავიდა;

სხდომა ხვალის . . . . . . არის დანიშნული.

# საჭირო კონსტრუქციები

1. მხატვარ . . . სურათ . . . ხატავს.

   მხატვარ . . . სურათ . . . დახატა.

   მხატვარ . . . სურათ . . . დაუხატავს.

2. მშენებელ . . სახლ . . აშენებს.

   მშენებელ . . სახლ . . ააშენა.

   მშენებელ . . სახლ . . აუშენებია.

1. წერა

მე გიორგის წერილს . . . . . .

გიორგი მე წერილს . . . . . .

2. ხატვა

შენ ბაგრატს . . . . . . .

ბაგრატი შენ . . . . . . .

# თემა 2

1. ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ „ბაზარი" ᲐᲖᲠᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ.

| ბაზარი |
| --- |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |

2. ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ:

ბაზარი სავაჭრო ადგილია, სადაც ____________________

მყიდველები პროდუქტებს ____________________

სპეციალურ ადგილს პროდუქტების დასაწყობად ____________________

დახლებზე აწყვია ____________________

3. ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲗ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: სავაჭრო ადგილი, გამყიდველი, მყიდველი, დახლი, სასწორი, კილოგრამი, ამიწონეთ ᲓᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐ.

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

4. მიუწერეთ შესაბამისი სრული დასახელება:

| | |
|---|---|
| მლ ________ | კმ ________ |
| კგ ________ | ც ________ |
| ტ ________ | მმ ________ |
| გრ ________ | სმ ________ |
| დმ ________ | მ ________ |

5. გამოიყენეთ ფრაზები: გთხოვთ, ამიწონოთ! ამიწონეთ, თუ შეიძლება! რამდენი კილო გნებავთ? რამდენი ავწონო? აგიწონოთ? – დიახ, ამიწონეთ. ზუსტი სასწორია? კარგად ამიწონეთ? – თუ გნებავთ, გასინჯეთ. ააგეთ დიალოგი.

6. რა განსხვავებაა ბაზარსა და ბაზრობას შორის? ახსენით თქვენი სიტყვებით.

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

7. მრავალწერტილის ნაცვლად სათანადო ფორმით ჩასვით სიტყვები: დახლი, მყიდველი, გამყიდველი, სურსათ-სანოვაგე, ბაზარი.

(ბაზარი). . . . . . . . პროდუქტები იყიდება.

(გამყიდველი). . . . . . . . მთელი დღე (დახლი). . . . . . . . დგანან.

(მყიდველი) . . . . . . . . ყიდულობს (სურსათ-სანოვაგე) . . . . . . . .

8. ამ სიტყვების გამოყენებით ააგეთ წინადადება:

| | | | |
|---|---|---|---|
| დაბებში | დიდ | რამდენიმეა | ქალაქებში და |
| ერთი | ბაზარი | ქალაქებში | პატარა |

______________________________________________

______________________________________________

9. გადაიყვანეთ III პირში:

სამი კილო ვაშლი ვიყიდე. ______________________

გუშინ ბაზარში ვიყავი. ______________________

ყურძენი ჩემს სასწორზე ავწონე. ______________________

ნავაჭრში ფული მივეცი. ______________________

1

10. რა შეიძლება შევიძინოთ ბაზრობაზე? ჩამოწერეთ, რასაც გაიხსენებთ.

| ბაზრობა | |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

11. დაწერეთ თემა: შემოდგომის ბაზარი.

___

___

___

___

___

___

___

___

___

___

12. მოძებნეთ ნატვრის, სურვილის გამომხატველი ფორმები და შემოხაზეთ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დავწერე | მიდი! | დახატოს | ააშენე! | ეძებდეს |
| წაიქცა | მოიტანეს | ნახოს | დაინახა | დალიოს |

13. რომელ პირს განეკუთვნება მოქმედება? მოქმედს თუ სამოქმედიოს?

მკერავმა ტანსაცმელი შემიკერა. – ___

ხვალ სურათს დაგიხატავ. – ___

გიორგის საჩუქარი მივუტანე. – ______________________________

ჩემმა მეზობელმა სახლი აიშენა. – ______________________________

14. აწარმოეთ ზმნებისაგან ნაზმნარი სახელები:

| | |
|---|---|
| ყიდის – | |
| ხატავს – | |
| კერავს – | |

15. ჩაწერეთ ზმნის სწორი ფორმა მრავალწერტილის ნაცვლად:

ხვალ სამსახურში უნდა . . . . . . . . . . . . (წასვლა).

იქნებ დღეს მაინც . . . . . . . . . . . . წვიმა (მოსვლა).

ვფიქრობ სახლი . . . . . . . . . . . . (აშენება).

ვეჭვობ, ეს საქმე . . . . . . . . . . . . (გამოსვლა).

16. შეავსეთ ცხრილში გამოტოვებული უჯრები:

| | | |
|---|---|---|
| ჭამს | | ჭამოს |
| | დაწერე! | დაწეროს |
| აშენებს | ააშენე! | |
| მიდის | | მივიდეს |

17. შეადგინეთ წინადადებები ნატვრისა და ბრძანების გამომხატველი ფორმების გამოყენებით.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

# საჭირო კონსტრუქციები

1. დედა . . . შვილ . . . უჯავრდება.

   დედა . . . შვილ . . . გაუჯავრდა.

   დედა . . . შვილ . . . გასჯავრებია.

2. დათო . . ვახტანგ . . ცემს.

   დათო . . ვახტანგ. . ცემა.

   დათო . . ვახტანგ. . უცემია.

1. ჩუქება

ჩვენ ნათესავებს საჩუქარი . . . . . . .

ნათესავებმა ჩვენე წერილს . . . . . . .

2. დაბარება

მე ნინოს მოკითხვა . . . . . . . .

ნინომ მე მოკითხვა . . . . . . . .

7. ᲬᲘᲜᲐ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲐᲒᲔᲗ ᲗᲔᲛᲐ: „სასწრაფო დახმარება“.

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

8. ᲓᲐᲣᲡᲕᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

ოჯახში მოხუცი გვყავს. _______________________

მარიამს გული აწუხებს. _______________________

ექიმი დანიშნულებას უწერს. _______________________

წამალი სამ საათზე უნდა მიიღოს ხოლმე. _______________________

_______________________________________________

9. ᲠᲝᲛᲔᲚ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐᲜ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠᲗ ᲞᲝᲚᲘᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐᲨᲘ?.



10. რა სახის გამოკვლევა უნდა ჩაიტაროთ, ფილტვების ავადმყოფობა რომ დადგინდეს? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

| ექოსკოპია | რენტგენი | ულტრასონოგრაფია |
| --- | --- | --- |

11.. ამ სურათებზე გამოხატული ნივთების სახელწოდებების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.



12. აღწერეთ სურათი. გამოიყენეთ სათანადო ფრაზები:



13. გაეცით კითხვებს პასუხები:



___

___

___

14. ᲓᲐᲣᲡᲕᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

– დღეს მაღალი წნევა მაქვს. ___

– არა, გული არ მაწუხებს. ___

– საავადმყოფოში ვმუშაობ. ___

– კარდეოლოგიურ განყოფილებაში. ___

15. ᲩᲐᲡᲕᲘᲗ -ურ, ან –ულ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ:

ინფექცი . . . დაავადება.

კარდეოლოგი . . . განყოფილება.

პედიატრი . . . კლინიკა.

რესპუბლიკ . . . საავადმყოფო.

ქირურგი . . . . პალატა.

16. ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲘᲡᲕᲐᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, –-ᲙᲔᲜ ᲗᲣ -ᲒᲐᲜ?

ბაგრატი ქალაქის . . . . წავიდა.

თიხის . . . . დოქები კეთდება.

ლევანის . . . ხელი გაიქნია.

გიორგის . . . . წერილი მივიღე.

სკოლისა . . . ჰერი, ჰერი!

17. ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲗ –თანავე ᲗᲐᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

როგორც კი გათენდა, სახლიდან გავედით. –

___

18. გადაიყვანეთ მრავლობით რიცხვში:

ბავშვი ცუდად არის. ______________________________

კარდიოლოგმა ავადმყოფი გასინჯა. ______________________________

საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფი წევს. ______________________________

ექიმმა წამალი დამინიშნა. ______________________________

# საჭირო კონსტრუქციები

1. ბრაზილია . . . თამაშ . . . იგებს.

   ბრაზილია . . . თამაშ . . . მოიგო.

   ბრაზილია . . . თამაშ . . . მოუგია.

2. მეცნიერ . . წიგნ . . წერს.

   მეცნიერ . . წიგნ . . დაწერა.

   მეცნიერ . . წიგნ . . დაუწერია.

1. თხოვება

ასმათმა წიგნი . . . . . .

მე ასმათს წიგნი . . . . . .

2. ჭამა

დედაჩემს საჭმელი . . . . . . .

დედაჩემმა საჭმელი . . . . . . .

# თემა 4

1. ჩამოთვალეთ, ადამიანის სხეულის რომელი ნაწილიც გაგახსენდებათ:

| ადამიანის სხეულის ნაწილები | |
|---|---|
| 1. | 9. |
| 2. | 10. |
| 3. | 11. |
| 4. | 12. |
| 5. | 13. |
| 6. | 14. |
| 7. | 15. |
| 8. | 16. |

2. მიუწერეთ ნახატებს სახელები ქართულად: –






_______________ _______________ _______________ _______________

3. მტკივა (გტკივა, სტკივა) ზმნისა და ახალი სიტყვების საშუალებით შეადგინეთ წინადადებები (გამოიყენეთ არ ნაწილაკიც).

4. რომელი დაავადების სახელი იცით ქართულად? ჩამოთვალეთ.

| დაავადებები | |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

5. რომელი ინფექციური დაავადებები გაქვთ გადატანილი თქვენ (თქვენს შვილს, ძმას, დას...)?




6. აწარმოეთ –იან, -ოვან ბოლოსართების საშუალებით ახალი სიტყვები:

| | | |
|---|---|---|
| სახელი | → | |
| ქუდი | → | |
| ჩირქი | → | |
| მარილი | → | |

7. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სათანადო ფორმა:

ადამიანი . . . . . . . . . . . სუნთქავს.

. . . . . . . . . . . . საკვებს ამუშავებს.

. . . . . . . . . . . . ორგანიზმს წმენდს.

. . . . . . . . . . . სისხლმბადი ორგანოა

8. დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ წინადადება:

| | | | |
|---|---|---|---|
| ყურს | დავადებთ, | გავიგონებთ . | თუ |
| მკერდზე | გულისცემას | ადამიანს | |

___

9. აღწერეთ სურათი. გამოიყენეთ სიტყვები: ექიმი-ოკულისტი, მხედველობის გასინჯვა, სათვალე, სათვალის ზომა. მინუსი (ახლომხედველი), პლუსი (შორსმხედველი).




___

___

___

___

___

___

10. უპასუხეთ კითხვებს:

რა ჰქვია ადამიანის სხეულის წინა მხარეს? ___

რა ჰქვია ადამიანის სხეულის უკანა მხარეს? ___

სად არის მოთავსებული შინაგანი ორგანოები? ___

მკერდის რომელ მხარესაა მოთავსებული გული? ___

რით სუნთქავს ადამიანი? ___

როგორ სუნთქავს ადამიანი? ___

11. გადაიყვანეთ სხვა პირებში:

მე გული მტკივა

ჩვენ გული ______________________.

შენ გული ______________________.

თქვენ გული ______________________.

მას გული ______________________.

მათ გული ______________________.

12. სტკივა ზმნისა და ახალი სიტყვების საშუალებით შეადგინეთ წინადადებები:

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

13. აღწერეთ სურათი. გამოიყენეთ სიტყვები: სასწრაფო დახმარების გამოძახება, სასწრაფო საოპერაციო, ოპერაცია, ექიმების ბრიგადა.



______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

14. ჩასვით –იან ან –ოვან მრავალწერტილის ნაცვლად:

ცხიმ . . . . კანი აქვს.

კუნთ . . . . . ქსოვილი გაჭრეს.

ჩირქ . . . . . გლანდები აწუხებს.

ცეცხლ . . . . . ბურთი ანათებს.

15. შეცვალეთ ზმნები ისე, რომ აღარ დაგვჭირდეს კუთვნილების გამომხატველი ნაცვა\ლსახელის ხმარება:

სახლი ჩემთვის ავაშენე – ____________________

სახლი შენთვის ავაშენე – ____________________

სახლი გიორგისთვის ავაშენე – ____________________

შენ ჩემთვის სახლი ააშენე - ____________________

16. დავაჯგუფოთ ზმნის ფორმები:

დავიმზადე დამიხატა დავწერე გავუკეთე და-
ვარტყი გავისინჯე მოგიტანა ავაშენე შევიკერე

| არავისთვის განკუთვნილი მოქმედება | მოქმედი პირისთვის განკუთვნილი მოქმედება | არამოქმედი პირისთვის განკუთვნილი მოქმედება |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

17. ჩასვით სწორი ფორმა მრავალწერტილის ნაცვლად.

დავითმა მეგობარს სახლი . . . . . . . . . . . (აშენება).

ზურამ ხელში ჩაქუჩი . . . . . . . . . . . (ჩარტყმა).

ქათამმა კვერცხი . . . . . . . . . . . (დადება).

18. შეუწყეთ ხატავს ზმნის სწორი ფორმები:

მხატვარმა მე ნახატი . . . . . . . .    მხატვარმა ჩვენ ნახატი . . . .

მხატვარმა შენ ნახატი . . . . . . . .    მხატვარმა მე ნახატი . . . .

მხატვარმა მას ნახატი . . . . . . . .    მხატვარმა მათ ნახატი . . . .

19. შეავსეთ ცხრილის ცარიელი უჯრები:

| | | |
|---|---|---|
| წერს | იწერს | |
| | იხატავს | უხატავს |
| აშენებს | | უშენებს |
| ათბობს | ითბობს | |

# საჭირო კონსტრუქციები

1. დედა . . . შვილ . . . ეფერება.

დედა . . . შვილ . . . მოეფერა.

დედა . . . შვილ . . . მოჰფერებია.

2. გიორგი . . გაკვეთილ . . სწავლობს.

გიორგი . . გაკვეთილ. . ისწავლა.

გიორგი . . გაკვეთილ. . უსწავლია.

1. შეკერვა

მკერავმა შენ კარგი შარვალი . . . . . .

შენ ანეტას კაბა . . . . . . . .

2. დადგმა

არმენას წინ სკამი . . . . . . . .

არმენამ წინ სკამი . . . . . . .

# თემა 5

1. როგორ არის მიღებული სიტყვა საყოფაცხოვრებო? დაშალეთ და გამოყავით თავსართ-ბოლოსართები.

| საყოფაცხოვრებო | → | | | |
|---|---|---|---|---|

2. ჩამოთვალეთ თქვენთვის ცნობილი სა- -ო თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები სიტყვები:

| სა- . . . -ო |
|---|
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |

3. აღწერეთ სურათი და გამოიყენეთ სურათთან მოცემული ფრაზები.



ვარდი, ქრიზანთემა, მიხაკი, თაიგული, ძალიან ძვირი, მეყვავილე, დღესასწაული, მინდვრის ყვავილები

4. ჩამოთვლილი სიტყვებიდან შეარჩიეთ საჭირო და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

| |
|---|
| არასდროს |
| ზოგჯერ |
| იშვიათად |
| ხანდახან |
| ხშირად |
| სულ |

. . . . . . . . . . . . შეიძლება კარგად გართობა და მოლხენა.

. . . . . . . . . . . . დავდივარ ხოლმე ბაზარში.

. . . . . . . იმას ვცდილობ, არავის ვაწყენინო.

იცოდე, . . . . . . . . . . . არ დამიყვირო!

. . . . . . . . . . . . ვიცი ხოლმე გაბრაზება..

5. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: არასდროს, ზოგჯერ, იშვიათად, ხშირად, სულ, მუდამ (მუდმივად).

6. ჩამოთვალეთ, რა პროფესიის სახელწოდებებიც გაგახსენდებათ:

| პროფესიები | |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

7. შეადგინეთ განცხადება საათების შეკეთების თაობაზე.

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

8. რომელი ხელოსნები დაგჭირდებათ რემონტის გაკეთების დროს (შეარჩიეთ ყუთიდან, შემოხაზეთ)?

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მკერავი | მხერხავი | სანტექნიკოსი | მესაათე | მეყვავილე |
| მშენებელი | მეცხვარე | პარკეტის დამგები | დამლაგებელი | |
| კედლების შემთეთრებელი | მლესავი | მეეტლე | | |

______________________________________________

______________________________________________

9. რომელი პროფესიის სახელწოდებები შეგხვდათ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ტექსტში? ამოიწერეთ და განმარტეთ.

____________ - ______________________________

____________ - ______________________________

____________ - ______________________________

____________ - ______________________________

____________ - ______________________________

____________ - ______________________________

____________ - ______________________________

____________ - ______________________________

____________ - ______________________________

____________ - ______________________________

10. ხელობის აღმნიშვნელი სახელები (მესაათე, მკერავი, მშენებელი) დაშალეთ და მიუწერეთ, რომელი სიტყვებისგან არიან ნაწარმოები.

მესაათე - ______________________________

მკერავი - ______________________________

მშენებელი - ______________________________

11. დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ წინადადება:

| |
|---|
| ვერისა ქალაქზე ეგულებოდა მუშტრები და ორთაჭალის სადაც<br>მუშტს ფიქრობდა იბაგუნებდა სახლებს ძმაკაცები, და<br>გულზე სულ იგონებდა სალხინო |

______________________________________________________________

______________________________________________________________

12. მიუწერეთ, ვინაა და რას აკეთებს:







__________________ __________________ __________________

13. მიეცით სიტყვებს ისეთი ფორმა, რომ მიიღოთ წინადადება:

| |
|---|
| მეზობელი იაგორა პატივი შეხვედრა<br>და ხატობა მიპატიჟება |

______________________________________________________________

14. შეცვალეთ ფორმა ძაღლითურთ სხვაგვარი წარმოებით:

გიორგი სახლში თავისი ძაღლითურთ შემოვიდა

______________________________________________________________

______________________________________________________________

15. ცალ-ცალკე დააჯგუფეთ —-დან (-იდან) თანდებულიანი ფორმები, რომლებიც დროს და ადგილს გამოხატავენ:

ბაგრატი სახლიდან გამოვიდა.

ხუთი საათიდან აქ ვიცდი.

ფანჯრიდან აკაკიმ გამოიხედა.

იმ დღიდან ალეკო ღვინოს აღარ სვამს.

დილიდან ფეხზე ვდგავარ.

წიგნი კარიდან მომაწოდა.

| ადგილი | დრო |
|---|---|
| | |
| | |
| | |

16. ცალ-ცალკე დააჯგუფეთ -მდე (-ამდე) თანდებულიანი ფორმები, რომლებიც დროს და ადგილს გამოხატავენ:

| ადგილი | დრო |
|---|---|
| | |
| | |
| | |

17. როდის გამოხატავს –იდან, -ამდე დროს, როდის – ადგილს, როდის იხმარება სხვა მნიშვნელობით?

დილიდან საღამომდე იჯდა სკამზე და ხმას არ იღებდა.

ამ ლაპარაკიდან აზრი ვერ გამოიტანა.

ტყიდან შველი გამოხტა.

მოდგომარეობის გაუარესებამდე დატოვეს იქაურობა.

ჩემს ეზომდე ველარ მივაღწიე.

| დრო | ადგილი | იხმარება სხვა მნიშვნელობით |
|---|---|---|
| | | |
| | | |

18. ჩასვით სათანადო თანდებულები მრავალწერტილის ნაცვლად:

მე ბაგრატი ვარ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ . . . . . ვსწავლობ და ახლა თბილის . . . . . ვცხოვრობ. ჩემი ბინა სტუდქალაქ . . . . .ა, მაღალი კორპუსის მეოთხე სართულზე. ჩემს ბინ. . . . ფეხით ასვლა არ მიჭირს. აქ ჩემს მეგობართან ერთად ვცხოვრობ. მას გიორგი ჰქვია. გიორგი ქართველია. მისი ოჯახი ლენტეხ. . . . ცხოვრობს. თვითონაც ჩემსა. . . . უნივერსიტეტ. . . . სწავლობს და ახლა სტუდქალაქ. . . . ცხოვრობს. ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. ხშირად ერთად დავდივართ თეატრ. . . ., კონცერტებ. . . ., კინო. . . საღამოობით ბევრს ვსაუბრობთ. ვლაპარაკობთ პოლიტიკა. . ., ხელოვნება. . . ., სპორტ. ჩვენ დილ. . . . საღამო. . . . სულ ერთად ვართ.

## საჭირო კონსტრუქციები

1. ვალერი . . . მუსიკა . . . ისმენს.

ვალერი . . . მუსიკა . . . მოისმინა.

ვალერი . . . მუსიკა . . . მოუსმენია.

2. მარინა . . საჭმელ . . ჭამს.

მარინა . . საჭმელ. . ჭამა.

მარინა . . საჭმელ. . უჭამია.

1. დაძახება

ჩვენ ლალიმ . . . . . . .

მე და გიორგიმ ლალის . . . . . . . .

2. დახმარება

რატომ არ . . . . . . . . ზურას?

რატომ არ . . . . . . . . თქვენ ზურა?

# თემა 6

1. ჩამოთვალეთ, სპორტის რომელი სახელწოდება იცით ქართულ ენაზე:

| სპორტის სახეობა | |
|---|---|
| 1. | 9. |
| 2. | 10. |
| 3. | 11. |
| 4. | 12. |
| 5. | 13. |
| 6. | 14. |
| 7. | 15. |
| 8. | 16. |

2. სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენელია? მიუწერეთ:













3. ამოიწერეთ –ელ ბოლოსართით ნაწარმოები სახელები, დაშალეთ და მიუწერეთ სათანადო სპორტის სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი.

ჰოკეისტი ფეხბურთელი მორაგბე
კალათბურთელი ტანმოვარჯიშე მოკრივე
ხელბურთელი მშვილდოსანი

| | | |
|---|---|---|
| | ➡ | |
| | ➡ | |
| | ➡ | |

4. მრავალწერტილის ნაცვლად (ფრჩხილებში ჩასმული სპორტის სახეობის აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენებით) ჩასვით სპორტსმენის (ან სპორტის ამა თუ იმ სახის წარმო-მადგენლის) აღმნიშვნელი სიტყვა სწორი ფორმით:

ლოსაბერიძე გამოჩენილი ქართველი . . . . . . . . . . . . . . (მშვილდოსნობა).

ინგლისელმა . . . . . . . . . . . . . . . გამარჯვება იზეიმეს (ფეხბურთი).

ამერიკელი . . . . . . . . . . . . . . . რინგზე გაეიდა (კრივი).

. . . . . . . . . . . . . . . ქალებმა ტურნირში გაიმარჯვეს (ჭადრაკი).

ფრანგმა . . . . . . . . . . . . . . . გაფრთხილება მიიღო. (კალათბურთი).

5. სპორტის ამა თუ იმ სახეობის აღმნიშვნელი სიტყვისგან აწარმოეთ სპორტსმენის (ამ სპორტის წარმომადგენლის) სახელწოდება. გამოიყენეთ ყველა ჩამოთვლილი სუფიქსი.

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰოკეი | -ოსან | ➡ | |
| ჭადრაკი | -ელ | ➡ | |
| წყალბურთი | -ისტი | ➡ | |
| მშვილდი | მო- -ე | ➡ | |

6. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სათანადო ფორმა:

ავსტრალიამ მიმართა ფეხბურთის საერთაშორისო . . . . . . . . . . . . . მომავალი მსოფლიო . . . . . . . . . . . . . . . მასპინძლობის თაობაზე. ჩემპიონატი 2006 წელს . . . . . . . . . . . . . . . ავსტრალიას ჩემპიონატზე ძლიერი . . . . . . . ეყოლება.

7. ტექსტში გამოტოვებული ადგილები შეავსეთ სათანადო სიტყვებით, სწორი ფორმით (შეარჩიეთ ყუთიდან):

| ტურნირი | თასი | ფეხბურთი | შანსი |
|---|---|---|---|

ორშაბათს გაიმართება დიდი . . . . . . . . . . . . . მინი . . . . . . . . . . . . ., დიეგო მარადონას სახელობის . . . . . . . . . . . . . . გამარჯვების დიდი . . . . . . . . . . აქვს არგენტინის ნაკრებს.

8. განმარტეთ თქვენი სიტყვებით:

მსოფლიო ჩემპიონატი – ______________________________

საერთაშორისო ფედერაცია – ______________________________

კანდიდატურა – ______________________________

ვადა – ______________________________

ხელმძღვანელობით – ______________________________

შეჯიბრი // შეჯიბრება – ______________________________

იასპარეზებს – ______________________________

9. გაეცით პასუხი კითხვებს:

I. სპორტის რომელი სახეობა გიყვართ?

______________________________

______________________________

II. ხშირად უყურებთ სპორტულ გადაცემებს ტელევიზორში?

______________________________

______________________________

III. ხშირად დადიხართ სპორტულ შეჯიბრებზე?

_______________________________________________

IV. თქვენ თუ მონაწილეობდით რომელიმე სპორტულ შეჯიბრებაში?

_______________________________________________

_______________________________________________

V. უყურებთ ფეხბურთს?

_______________________________________________

VI. ფეხბურთის რომელ გუნდს გულშემატკივრობთ?

_______________________________________________

10. ᲓᲐᲐᲯᲒᲣᲤᲔᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘ:

| ორთაბრძოლა | ძალოსნობა | მძლეოსნობა | თამაშები | ტანვარჯიში |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

11. ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲐᲚᲔᲗ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲘᲡ ᲜᲐᲘᲠᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲜᲘ:

| შეჯიბრი | |
|---|---|
| 1. | 5. |
| 2. | 6. |
| 3. | 7. |
| 4. | 8. |

12. ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲗ –ელ, -ოსან, მო -ე თავსართ-ᲑᲝᲚᲝᲡᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲐᲦᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

კრივი → ______

კალათბურთი → ______

რაგბი → ______

რაგბი → ______

13. შეარჩიეთ თანდებულები და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად.

ხერხემალი შედგება მალების ...... ;

დედაჩემის წასვლის ....... გიორგი მოვიდა;

სასწრაფო დახმარების მანქანა საავადმყოფოს ...... წავიდა;

სხდომა ხვალის ...... არის დანიშნული.

14. განმარტეთ სიტყვები:

გაიმართა – ______

მეტოქე – ______

მორიგი – ______

უშუალო – ______

დაასრულა – ______

ჩამორჩება – ______

კონკურენტი – ______

გადაინაცვლა – ______

15. სათანადოდ გამოიყენეთ სიტყვები: დამარცხდა, მოუგო, ფრედ დაამთავრეს:

ბრაზილიამ იტალიის ნაკრებს . . . . . . .

ჰოლანდიის ნაკრები . . . . . . . საფრანგეთის ნაკრებთან.

გერმანიის ფეხბურთელებმა რუსებთან თამაში . . . . . . . . . . . . .

16. თქვენი სიტყვებით განმარტეთ:

სტარტი - ______________________________

ფინიში - ______________________________

17. უპასუხეთ კითხვებს; საპასუხოდ აირჩიეთ სიტყვები და ჩასვით სათანადო ფორმაში:

| |
|---|
| საჭადრაკო დაფა |
| ხალიჩა მოკრივე |
| ძალოსანი სტადიონი |
| დაშნა წყალბურთელი |
| მშვილდ-ისარი მოედანი |

I. სად ტარდება ფეხბურთის მატჩი?

______________________________

II. რაზე ჭიდაობენ მოჭიდავეები?

______________________________

III. ვინ სწევს სიმძიმეებს?

______________________________

IV. რა უჭირავს ჩოგბურთელს? რით თამაშობს იგი?

______________________________

V. რა აქვს მოფარიკავეს? რით იბრძვის იგი?

______________________________

VI. ვის აცვია ხელთათმანი ორთაბრძოლისას?

______________________________

VII. ვინ თამაშობს წყალში ბურთს?

______________________________

VIII. რაზე თამაშობენ მოჭადრაკეები ჭადრაკს?

______________________________

IX. რა უჭირავს მშვილდოსანს ხელში?

______________________________

18. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

| |
|---|
| გუნდი დამარცხდა მატჩი |
| ჩემპიონატი ყაიმი ნაკრები |
| კონკურენტი ქულა პარტია |

გუშინ გაიმართა მორიგი . . . . . მსოფლიოს საჭადრაკო . . . . საქართველოს მოჭადრაკე ქალთა . . . . . შეხვდა პოლონეთის გუნდს და საკმაოდ მოულოდნელად . . . . . . . .: 0. 5 : 2. 5. ჩიბურდანიძე, იოსელიანი და არახამია, შესაბამისად, რადჯევიჩს, დოროხოვსკაიასა და მონიკა სოკოლს შეხვდნენ. იოსელიანმა და არახამიამ წააგეს . . . . . . . . , მაია ჩიბურდანიძემ კი . . . . . . დაასრულა შეხვედრა; ჩვენი . . . . . . . . . .უშუალო . . . . . . . .ჩინეთის ნაკრებმა გაიმარჯვა და პირველ ადგილზე მყოფ საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ნახევარი . . . . . ჩამორჩება.

19. მიუწერეთ მრავლობითი რიცხვის ფორმა:

| | |
|---|---|
| ფეხბურთელი → | |
| შეხვედრა → | |
| პარტია → | |
| მოკრივე → | |

## საჭირო კონსტრუქციები

1. ნანა . . . ბურთ . . . ისვრის.
   ნანა . . . ბურთ . . . ისროლა.
   ნანა . . . ბურთ . . . უსვრია.
2. ბიჭ . . ლექს . . ამბობს.
   ბიჭ . . ლექს. . თქვა.
   ბიჭ . . ლექს. . უთქვამს.

1. დაწვენა

გელა ლოგინში . . . . . .

გელამ ლოგინში . . . . . . .

2. დაყვირება

არ . . . . . . . . ბაგრატს!

მე არ . . . . . . . . . ბაგრატ!

# თემა 7

1. უპასუხეთ კითხვებს:

I. რა ტრანსპორტით შეიძლება იმოგზაუროს ადამიანმა?

II. რომელ ტრანსპორტს ამოირჩევდით თქვენ სამოგზაუროდ?

III. თქვენს მხარეში არის აეროპორტი? პორტი? სადგური?

IV. გიყვართ მოგზაურობა?

V. რომელი ქვეყნების დათვალიერება გინდათ?

VI. ყოფილხართ საზღვარგარეთ? სად? როდის? რამდენი ხნით?

VII. გყავთ ნათესავები ან მეგობრები საზღვარგარეთ?

2. აირჩიეთ ქვეყანა და მოყევით, რა იცით მის შესახებ.

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთი | ამერიკა | ინგლისი | საფრანგეთი |
| ინდოეთი | ავსტრალია | ეგვიპტე | |

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

3. დაუსვით კითხვები:

- საფრანგეთში ვიმოგზაურე. ______________________
- თვითმფრინავით გავფრინდი. ______________________
- ყველაზე მეტად ეიფელის კოშკი მომეწონა. ______________________
- საქართველო ძალიან მომენატრა. ______________________
- უკან მატარებლით დავბრუნდი. ______________________

4. გადააკეთეთ წინადადებები უკუთქმითად:

ორშაბათს საელჩოში ვიყავი. ______________________

იტალიაში ფეხით წავედი. ______________________

„შენგენის“ ვიზა ავიღე. ______________________

თვითმფრინავში ბარგი ავიტანე. ______________________

5. ჩასვით სათანადო სიტყვები მრავალწერტილის ნაცვლად:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პასპორტი | ორმხრივი | საელჩო | კონსული | ვიზა |

ვახტანგს . . . . . . . ბილეთი აქვს აღებული. ერთი თვის წინ . . . . . შეიტანა საბუთები. ჯერ . . . . . . . . შეხვდა, მერე კონსულის თანაშემწეს. გაიარა გასაუბრება და საზღვარგარეთ გასასვლელი . . . . . . . . აიღო. ნოდარს . . . . გაუფორმეს. მას ამერიკის გარდა, კანადაშიც შეუძლია გასვლა.

6. ხაზგასმული სიტყვები და ფრაზები შეცვალეთ სინონიმებით:

დღეს ჩვენი ტურისტული დელეგაცია ევროპაში მიემგზავრება. რამდენიმე ძლიერი ხელის ჩამორთმევა, ახლობლებთან გადახვევა და სკანდინავიის ავიაკომპანიის ოთხმოტორიანმა თვითმფრინავმა SAS № 198-მა ჰაერში აგვიტაცა. უკანასკნელად შევავლე თვალი სამშობლოს თვალუწვდენელ ბარაქიან ველებს.

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

7. აწარმოეთ სა – ო თავსართ-ბოლოსართით ახალი სიტყვები:

| | | |
|---|---|---|
| ელჩი | → | |
| კონსული | → | |

8. დაასახელეთ, რა ძეგლებია და რომელ ქვეყანაში მდებარეობს.







______________ ______________ ______________

______________ ______________ ______________

9. აღწერეთ აეროპორტი:

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

10. შეავსეთ ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია:

# ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია

**საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანა ან საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად**

**1. ფიზიკური პირის მონაცემები:**

1.1 ____________ / ____________ / ____________ / სერია ____ № ____________
გვარი სახელი მოქალაქეობა პასპორტი

____________ / ____________

1.2 რომელი ქვეყნიდან ჩამობრძანდით რომელ ქვეყანაში მიემგზავრებით

1.3 მგზავრობის მიზანი: საქმიანი ☐ პირადი ☐ ტურიზმი ☐ სხვა ☐

**2. პირადად და ბარგთან ერთად მაქვს:**

2.1 საქართველოს ეროვნული ვალუტა და ფასიანი ქაღალდები, უცხოური ვალუტა

| ვალუტის დასახელება | რაოდენობა | |
|---|---|---|
| | ციფრებით | სიტყვიერად |
| | | |
| | | |
| | | |

2.2 ძვირფასეულობა (ძვირფასი ლითონები, ქვები და ნაკეთობები), ანტიკვარული ნივთები და ხელოვნების ნიმუშები (ხატები, ნახატები, ქანდაკებები და სხვა), ყოველგვარი იარაღი, ტყვია წამალი, ადვილაალებადი ნივთიერება, ნარკოტიკები, ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი და მომწამლავი ნივთიერებები, რადიაქტიური ნივთიერებანი, მაღალსიხშირიანი რადიოელექტრონული მოწყობილობა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ცოცხალი ცხოველები, ცოცხალი ფრინველები, მცენარეები კი ☐ არა ☐

| ნივთების დასახელება, მათი მოკლე აღწერილობა, საზღვარზე გადაადგილების ნებართვა | რაოდენობა | | | საბაჟოს აღნიშვნისათვის |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობის ერთეული | ციფრებით | სიტყვიერად | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

2.3 ნებადართული აქციზური საქონელი ნორმაზე ზემოთ კი ☐ არა ☐

2.4 შემოსატანი ერთგვაროვანი საქონელი 20 კგ.-ზე მეტი წონის კი ☐ არა ☐

2.5 შემოსატანი არაერთგვაროვანი საქონელი 50 კგ.-ზე მეტი წონის კი ☐ არა ☐

2.6 ჩემგან დამოუკიდებლად იგზავნება ჩემი კუთვნილი ბარგი ______ ადგილი

**3. მე გავეცანი შენიშვნას, დეკლარაცია შევსებულია ჩემს მიერ, რაზეც ხელს ვაწერ** ____________ **თარიღი** ____________

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**4. მებაჟის ხელმოწერა** ____________ **ბ.ა**

11. ᲓᲐᲣᲡᲕᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ:

______________________________

ჩემი სახელი და გვარია ბაგრატ სტეფანიანი.

______________________________

მე საქართველოდან ჩამოვედი.

______________________________

მივდივარ ტურისტულ მოგზაურობაში.

______________________________

ძვირფასეულობა არ მიმაქვს.

______________________________

ხელზე მაქვს ათას ხუთასი დოლარი.

12. ᲠᲐ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲑᲐᲠᲒᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲨᲘ? (ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲖᲔᲗ).

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩემოდანი | ბარგი | ხელბარგი | გუდა |

13. ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔᲗ ᲖᲛᲜᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲐᲢᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ:

| | |
|---|---|
| სურათი ჩემთვის დავხატე. | |
| მეგობრისთვის სახლი ავაშენე. | |
| შენთვის დავალება დავწერე | |
| ჩვენთვის საჭმელი გავაკეთე | |

14. ᲩᲐᲡᲕᲘᲗ დარეკვა ᲖᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ:

სახლში . . . . . . . . .

ტელეფონზე მეგობარს . . . . . . . . .

ხვალ შენ აუცილებლად . . . . . . . . .

თუ ვინმემ . . . . . . . . ., გამაღვიძე.

15. გადაიყვანეთ ზმნა სათანადო ფორმაში:

ჩემს შვილს დავალება დავუწერე. – ჩემი შვილისთვის დავალება . . . . . . . . .

უბის წიგნაკში რაღაც ჩავიწერე – უბის წიგნაკში ჩემთვის რაღაც . . . . . .

ჯიბეში ფული ჩავიდე – ჩემს ჯიბეში ფული . . . . . . . . . .

გიორგის უჯრაში წიგნი ჩავუდე – გიორგის უჯრაში წიგნი . . . . . . .

16. გადააკეთეთ მტკიცებითი წინადადება კითხვით წინადადებად:

| | |
|---|---|
| დღეს კარგი ამინდია. | |
| ხვალ ფეხბურთი უნდა ვითამაშო. | |
| ახლა სახლში მივდივარ. | |
| ეს ჩემი წიგნია! | |

17. ამავე წინადადებებს დაუსვით კითხვა:

| | |
|---|---|
| დღეს კარგი ამინდია. | |
| ხვალ ფეხბურთი უნდა ვითამაშო. | |
| ახლა სახლში წავალ. | |
| ეს ჩემი წიგნია! | |

18. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:

ბენზინი თვითმფრინავი მოგზაურობა
პარიზი ცა ეიფელის კოშკი ბარგი
სასიამოვნო შთაბეჭდილება

# საჭირო კონსტრუქციები

1. ზაზა . . . კინო . . . ნახულობს.

ზაზა . . . კინო . . . ნახა.

ზაზა . . . კინო . . . უნახავს.

2. მეზობელ . . შეშა . . ჩეხავს.

მეზობელ . . შეშა . . დაჩეხა.

მეზობელ . . შეშა . . დაუჩეხავს.

1. დარეკვა

ვალიამ ქმარს . . . . . .

ქმარმა ვალიას . . . . . . .

2. დაჭერა

პოლიციამ პატიმარი ვერ . . . . . . .

მე პოლიციამ . . . . . . . .

# თემა 8

1. ჩამოთვალეთ სიტყვა „,ნათელთან“ დაკავშირებული ყველა ის სიტყვა, რომელიც თქვენ იცით:

| ნათელი | |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |

2. დაწერეთ, რა საფეხურები უნდა გაიაროს ადამიანმა, რომ გახდეს აკადემიკოსი:

3. განმარტეთ თქვენი სიტყვებით:

ბუტავს

მოწადინებული

გულმინდობილი

მპარავი

მღვიძარი

4. ჩასვით მოცემული სიტყვები მრავალწერტილის ნაცვლად.

| | | | |
|---|---|---|---|
| მოწადინებული | ანთებული | საყდარი | ჩაიწევება |
| გულმინდობილი | დაამშვენებს | უფროს-უმცროსობა | |

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს ცოდნა, რომ სანთელი, როცა იქნება, . . . . და გაქრება ხოლმე. ერთხელ . . . . . . . ცოდნა კი არასოდეს არ გაქრება: მამიდან შვილზე გადადის, შვილიდან შვილიშვილზე, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული..

ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან . . . . . . . . . არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თვითონ ღმერთი, - ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე გლეხსაც და თავადსაც, ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად . . . . . . . ხოლმე, ოღონდ კი კაცი . . . . . . . და . . . . . . მივიდეს ცოდნის კარამდე.

5. შეავსეთ ცხრილში. გამოტოვებული უჯრები:



6. გადაიყვანეთ ზმნები წარსულ დროში.

კოლხეთში <u>არის</u> უმაღლესი რიტორიკული სკოლა, კერძოდ, ფაზისში (დღევანდელი ფოთი), რომელშიც არა მარტო ქართველები <u>სწავლობენ</u>, არამედ ბერძნებიც <u>ჩამოდიან</u> განათლების მისაღებად. აქ <u>ისწავლება</u> მათემატიკა, ასტრონომია, ლიტერატურა, ფილოსოფია, სამართალი, მუსიკა, რიტორიკული ხელოვნება.

ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად, საფუძველი <u>ეყრება</u> სამონასტრო სკოლების არსებობას. ამ სკოლების მიზანი <u>არის</u> ეკლესიის მსახურთა მომზადება.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

7. შეარჩიეთ სახელმძღვანელოდან ერთ-ერთი ანდაზა სწავლის შესახებ და იმსჯელეთ მის შესახებ.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

8. რას გამოხატავს ანდაზა: „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო". განმარტეთ თქვენი სიტყვებით.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

9. მოცემული ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ ზმნები:

| მე ვწერ | ვ-წერ-დ-ი | ვ-წერ-დ-ე |
|---|---|---|
| შენ ხატავ | | |
| ჩვენ ვაშენებ-თ | | |
| ის ფიქრობ-ს | | |
| ისინი უკრავ-ენ | | |

10. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად „აკეთებს", „ხატავს", „წერს" ზმნების სათანადო ფორმები:

გიორგი გუშინ მთელი დღე საქმეს . . . . . . . .

მხატვარი ამ სურათს ორი დღე . . . . . . . .

მწერალი რომ წიგნებს არ . . . . . . . ., მაშინ მწერალიც არ ერქმეოდა.

11. მოცემული ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ ზმნები:

| შენ დაწერ | და-წერ-დ-ი | და-წერ-დ-ე |
|---|---|---|
| მე დავხატავ | | |
| ის ააშენებ-ს | | |
| ჩვენ გავყოფ-თ | | |
| თქვენ შეჭამთ-თ | | |

12. გადმოიყვანეთ ზმნები წარსულიდან ახლანდელ დროში.

| | |
|---|---|
| ეფარებოდა → | |
| ვცხოვრობდით → | |
| აშენებდა → | |
| წერდი → | |

13. გადაიყვანეთ ზმნები მომავალ დროში.

| | | |
|---|---|---|
| ვიმალები | → | |
| თესავს | → | |
| აგდებ | → | |
| ვყიდით | → | |

14. გადაიყვანეთ წინადადებები წარსულიდან მომავალ დროში:

გუშინ ამ დროს დავალებას ვწერდი.

________________________________________

მაშინ არაფერს არ ვაკეთებდი.

________________________________________

მზე მთებს ეფარებოდა.

________________________________________

მე და დედაჩემი იქ ვცხოვრობდით.

________________________________________

15. ზმნის ფორმის ცვლით მიეცით წინადადებას მრავალგზისობის შინაარსი.

საღამოობით ვიკრიბებით, ვხუმრობთ, ვიცინით, ვთამაშობთ.

________________________________________

16. გადაიყვანეთ წინადადებები წარსულ დროში.

მე დავალებებს ვწერ. ____________________

არაფერს არ აკეთებ. ____________________

ცეცხლთან თბება. ____________________

17. ჩასვით ზმნის სათანადო ფორმები მრავალწერტილის ნაცვლად:

ჩვენ ცუდად არ უნდა . . . . . . . . .! (მოქცევა)

ბიჭებო, თქვენი მარჯვენა . . . . . . . . .! (დალოცვა)

მე კარგად უნდა . . . . . . . . .! (სწავლა)

რა უნდა . . . . . . . . .? (გაკეთება)

რატომ უნდა . . . . . . . . .ბაგრატმა ტყუილი?! (თქმა)

არ მინდა, რომ . . . . . . . . .. (წასვლა)

18. ნიმუშის მიხედვით წარმოადგინეთ სათანადო ფორმით. დაუკვირდით სახელის ბრუნვის ფორმას.

მეზობელმა სახლი ააშენა. მეზობელს სახლი აუშენებია.

დედამ გუშინ არ დამირეკა. ________________________

უცხოეთში არ წავედი. ________________________

19. ჩასვით ზმნის სათანადო ფორმები მრავალწერტილის ნაცვლად:

საზღვარგარეთ ჯერ არ . . . . . . . . (ყოფნა)

ეს წიგნი ჯერ არ . . . . . . . . ? (წაკითხვა)

დავალება ჯერ არ . . . . . . . . ? (დაწერა)

# საჭირო კონსტრუქციები

1. მამუკა . . სტუმრებ . . . პატიჟებს.
   მამუკა . . სტუმრებ . . . დაპატიჟა.
   მამუკა . . სტუმრებ . . . დაუპატიჟებია.
2. მზარეულ . . მწვად . . წვავს.
   მზარეულ . . მწვად . . შეწვა.
   მზარეულ . . მწვად . . შეუწვავს.

1. მოვლა

დედა შვილს . . . . . .

დედა ჩვენ კარგად . . . . . . .

2. გაზრდა

თქვენ ბებიამ . . . . . . . .

მე ორი შვილი . . . . . . . .

# თემა 9

1. მოუსმინეთ აუდიომასალას. გადმოეცით მოსმენილის მოკლე შინაარსი.

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სინონიმთა გამოყენებით:

მატიანე – ისტორია

თხზულება – ნაწარმოები;

ლაშქარი – ჯარი;

დამწერლობა – ანბანი.

3. რომელი ქართველი მეფის შესახებ გსმენიათ? გადმოეცით მოკლედ თქვენი სიტყვებით.

4. შეაერთეთ ისრებით::

| | |
| --- | --- |
| ვახტანგ გორგასალი | შექმნა დამწერლობა |
| თამარ მეფე | ქართლი გააქრიატიანა |
| მირიანი | დედაქალაქი დააარსა |
| დავით აღმაშენებელი | ამიერკავკასიაში უდიდესი სახელმწიფოს მეფე |
| ფარნავაზი | ქვეყნის ამღორძინებელი |

5. დაასახელეთ თარიღი:

**რომელი წელთაღრიცხვაა?**

| | | |
| --- | --- | --- |
| 17 - 43 წწ. | XII – IX სს. | 487 – 490 წწ. |
| 415 – 432 წწ. | III – V სს. | 1921 – 1973 წწ. |

6. თქვენი სიტყვებით მოყევით ვახტანგ გორგასალის მეფობის შესახებ.

7. შეუთანხმეთ რიცხვში ზმნა სახელს:

ოთხი ბიჭი მოვიდ . . . .

მეგობრები მეწვივ . . . . .

უამრავი ხალხი დაგროვდ . . . .

ორი კაცი გარბი . . . .

ბევრი თანამშრომელი მოგროვდ . . . . .

სამნი ერთად მოდიდოდ . . . . .

ცხვრის ფარა მთის ფერდობს მოეფინ . . . .

8. შეარჩიეთ ზმნის სწორი ფორმა და შეაერთეთ ისრებით:

| | | |
|---|---|---|
| მოვიდა | ხალხი | მოვიდნენ |
| ადგა | ფარა | ადგნენ |
| გაიშალა | ნახირი | გაიშალნენ |

9. მოცემული სიტყვები დაალაგეთ წინადადებებად.

| | |
|---|---|
| თარგამოსი ნოეს იყო ძმისწული ბიბლიური შთა-მომავალი იაფეტის | ეწოდებოდათ რომლებსაც ერის თავდაპირველად მმართველები მამასახლისები ქართველებს ჰყავდათ |

10. გადაიყვანეთ წინადადებები III პირში მე-ს ნაცვლად ჩასვით მირიანი.

ქართლის მეფე ვიყავი მე. ერთ დღეს მე სანადიროდ წავედი. უცებ მზე დაბნელდა და მხოლოდ მაშინ განათდა, როცა მე ნინოს ღმერთს ვთხოვე დახმარება. ამის შემდეგ მე ვირწმუნე ქრისტე.

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

11. განმარტეთ თქვენი სიტყვებით:

ომის გამოცხადება – ______________________________

ზავის დადება – ______________________________

დინასტია – ______________________________

მმართველი – ______________________________

სახელმწიფო რეფორმა – ______________________________

რეფორმა ჩაატარა – ______________________________

ბედს წყვეტს – ______________________________

განიხილავს საქმეს – ______________________________

12. მოცემული სიტყვებისა გამოყენებით ააგეთ წინადადებები.

| |
|---|
| სახელმწიფო სარწმუნოება გამაქრისტიანებელი<br>პატრიარქი ღვთისმშობელი დაკრძალული |

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

13. შეათანხმეთ რიცხვში:

დედ-მამა ჩამოვიდ . . . . .

დედა და მამა ჩამოვიდ . . . . . .

ცოლ-შვილი წავიდ . . . . .

ცოლი და შვილი წავიდ . . . . . .

ცოლ-ქმარი მიდი. . . . . . .

ცოლი და ქმარი მიდი . . . . .

14. შეარჩიეთ ზმნის სათანადო ფორმა და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

ქართველებს თავდაპირველად . . . . . . ერის მმართველები, რომლებსაც მამასახლისები . . . . . . მამასახლისი . . . . . . ყველა საქმეს და . . . . . . ადამიანებისა და ხალხის ბედს. შემდგომში კი მამასახლისობა . . . . . . და ერისმთავრობა

ანუ მეფობა . . . . . მეფე ქვეყნის ერთპიროვნული გამგებელი . . . , იგი . . . . . ქვეყანას, . . . . . . ჯარს, . . . . . . . ომს ან . . . . . . ზავს.

15. შეარჩიეთ სახელის სათანადო ბრუნვის ფორმა.

ავადმყოფ. . . მეგობარ . . წინ დაიჯინა.

გიორგი . . მეგობრისგან გაკვეთილ . . გადაიწერა.

ბაგრატ . . . მეზობელ . . .კარგი საქმე გაუკეთა.

დავით . . . თავის შეყვარებულ . . . ყვავილებ . . . მიუტანა.

16. გადაიყვანეთ წინადადებები პირველ პირში.

ეს ექიმი-ოკულისტია. მასთან მისულ პაციენტს მხედველობას უსინჯავს. ექიმმა-ოკულისტმა სათვალის ზომა უნდა დაადგინოს და გამოუწეროს პაციენტს. მან უნდა უმკურნალოს თვალმტკივან პაციენტებს.

17. შეათანხმეთ რიცხვში:

ლომები ღმუი . . . . .

ღრუბლები ცას ფარავ . . . .

შორს ხეები ჩან . . .

სპორტსმენები მირბი . . . . . .

18. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სახელი სათანადო ბრუნვისა და რიცხვის ფორმით:

. . . . . . . წასვლა მოინდომეს (კაცი).

. . . . . . . . თამაში უნდათ (ბიჭი);

. . . . . . . . . კარგი დრო დაუდგათ (ჩიტი);

. . . . . . .მოუსვენრობა ეტყობა (გოგონა);

19. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით ზმნა სათანადო ფორმით:

ჩემმა მეგობრებმა წასვლა . . . . . . . . . (გადაწყვეტა);

ბაგრატის პატარა ბიჭმა თამაში . . . . . . . . . (დაწყება);

ფეხბურთის მოყვარულებს კარგი დრო. . . . . . . .

(დადგომა);

მდინარესთან ხეები . . . . . . . . . (დგომა).

20. ამ სიტყვების გამოყენებით ააგეთ წინადადება:

**სახელები**

მეფე აღმაშენებელი
ქართული დავით მეხუთე
დანგრეული ქვეყანა
რისთვისაც მას

**ზმნები**

აღორძინა უწოდეს

# საჭირო კონსტრუქციები

1. ლალი . . თმა . . . ივარცხნის.

   ლალი . . თმა . . . დაივარცხნა.

   ლალი . . თმა . . . დაუვარცხნია.

2. დედა . . წყალ . . აქცევს.

   დედა . . წყალ . . გადააქცია.

   დედა . . წყალ . . გადაუქცევია.

1. დაჯერება

ვალიკო ზაზას არ . . . . . . .

ზაზა შენ არ . . . . . . . . .

2. ცნობა

ლევანს კარგად არ . . . . . . . .

ლევანი თქვენ არ . . . . . . . .

# თემა 10

1. თქვენი სიტყვებით განმარტეთ, რა არის ბიუჯეტი.

2. გამოიყენეთ სიტყვები: ბიუჯეტი, გადასახადი, ბანკი, ყადაღა, დაბეგვრა, ინვესტიცია, დავალიანება, ანაბრები, კაპიტალი... ააგეთ წინადადებები და ფრაზები.

3. დაწერეთ, როგორ ხდება კერძო პირის ურთიერთობა ბანკთან.

4. მოისმინეთ აუდიოტექსტი (30). რატომაა აუცილებელი, რომ წარწერა საქონელზე სახელმწიფო ენაზე იყოს? გამოთქვით თქვენი აზრი ამ საკითხის თაობაზე.

5. მოისმინეთ აუდიოტექსტი. გადმოეცით მოსმენილის მოკლე შინაარსი.

6. მოისმინეთ აუდიოტექსტი. გადმოეცით მოსმენილის მოკლე შინაარსი.

7. გაეცით პასუხი კითხვას: საიდან შედის სახელმწიფო ბიუჯეტში ფული?

8. დაწერეთ თემა: ჩემი მშობლიური მხარე.

9. მოცემული სიტყვები დაალაგეთ წინადადებებად.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზამთარს | ვენახები | ყურძენი | | |
| იტანს | არის | თითქმის | იქაურ | |
| ცივ | და | ვერ | აქ | სრულიად არ |

10. გადაიყვანეთ წინადადებები წარსულ დროში:

ახალციხე გაშენებულია პატარა მდინარე ფოცხოვის ნაპირზე.

______________________________

ახალციხეში დიდი ციხე დგას.

______________________________

დილაობით საუზმეს მივირთმევთ.

______________________________

რას აკეთებთ?

______________________________

11. შეარჩიეთ ზმნის სათანადო ფორმა და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

| |
|---|
| გაზარდო<br>გაგეზარდოს<br>უზრდიდე |

კარგი შვილი . . . . . . . !

დიდი კამეჩები უნდა . . . . . . .

შენ ახლა სახლში უნდა იჯდე და სამშობლოს ვაჟკაცებს . . . . .

12. მოცემული ზმნები გადაიყვანეთ სათანადო ფორმაში და აგეთ წინადადებები.

ხატავს
წერს
აშენებს — უნდა — ______________________________
ლაპარაკობს
მიდის

13. მოცემული ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ ზმნები:

| მე ვწერ | და-ვ-წერ | ვ-წერ-დ-ი | და-ვ-წერ-ე |
|---|---|---|---|
| შენ ხატავ | | | |
| ჩვენ ვაშენებ-თ | | | |
| ის ფიქრობ-ს | | | |
| ისინი უკრავ-ენ | | | |

14. შეცვალეთ ზმნა ისე, რომ წინადადებას მიეცეს ხოლმეობითის შინაარსი:

შევყავი ხელი ქვის ქვეშ, ვნახე თევზი, დავიჭირე და გამოვიყვანე;

წავალ, შევჭამ და დავისვენებ.

დილას ვხატავ და მერე სასწავლებელში მივდივარ.

მზე მთებს ეფარება.

15. მოცემულ წინადადებებში მოძებნეთ მომავლისთვის სასურველი მოქმედების გამომხატველი ზმნები და ამოიწერეთ:

ძალიან მცივა, ახლავე ცეცხლს დავანთებ და გავთბებით;

რატომ უნდა ვთქვა ტყუილი?!

გოჭებს ვიყიდი, გავასუქებ და ორ მანეთად გავყიდი

გიორგის წერილი უნდა მისწერო!

16. მოცემული სიტყვები დაალაგეთ ისე, რომ მივიღოთ წინადადება.

| | | | |
|---|---|---|---|
| გადაკოტრიალდებოდა | ერთი | ტახტი | |
| კარგად | ყოფილიყო, | ლუარსაბი | რომ |
| ტახტზე | დაწვებოდა | და | |

17. შეარჩიეთ ზმნის სათანადო ფორმა და ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

აეროპორტში . . . . . . . . . ნათესავები, მეგობრები, მოყვრები. (დახვედრა).

გიდი . . . . . . . . . . ერთ-ერთი ისტორიული ძეგლის ისტორიას. (მოყოლა)

ჩემი ცოდნის ჰორიზონტი საგრძნობლად . . . . . . . . . (გაფართოება)

18. მოცემულ წინადადებებიდან შეარჩიეთ დასრულებული და დაუსრულებელი მოქმედების გამომხატველი ზმნები და დააჯგუფეთ.

ვიცხოვრე, ვიარე, ვნახე და გავიგე.

ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე.

თაგვმა თხარა, თხარაო – კატა გამოთხარაო...

| დაუსრულებელი მოქმედება | დასრულებული მოქმედება |
|---|---|
| | |
| | |

## საჭირო კონსტრუქციები

1. ნატო . . შუშა . . . ამტვრევს.

ნატო . . შუშა . . . დაამტვრია.

ნატო . . შუშა . . . დაუმტვრევია.

2. ძაღლ . . ქურდ . . კბენს.

ძაღლ . . ქურდ . . უკბინა.

ძაღლ . . ქურდ . . უკბენია.

1. დაღლა

შენ რამაზი შრომით . . . . . .

მე რამაზმა ლაპარაკით . . . . . . .

2. თხოვნა

ძალიან . . . . . . , დამეხმარე!

ჩემს მეგობრებს . . . . . . . .

# თემა 11

1. თქვენი სიტყვებით ახსენით ფრაზები:

ადამის ხნის ______________________________

ალღოს აღება (ალღო აუღო) ______________________________

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული______________________________

ბურთი და მოედანი დარჩა ______________________________

2. დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ პატარა არაკი:

ამხანაგმა მცურავი იქნებიო წყალს ერთი  დაიძახა მეორე გააქნიე ღმერთო ხელი მიშველეო! უთხრა და ნაშველები მიჰქონდა.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

3. ორჯერ მოისმინეთ აუდიოტექსტი (№ 24) და დაწერეთ მისი შინაარსი.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**4. შეცვალეთ მოცემული სიტყვები სინონიმებით:**

დაძმობილდნენ ____________________

მამასახლისი ____________________

**5. დაალაგეთ სიტყვები წინადადებებად.**

| საფუძველი ქალაქ ვახტანგ ჩაუყარა თბილისის გორგასალმა მშენებლობას | მწერალი გამოჩენილი და ნიჭიერი იყო მხედართმთავარი დავით აღმაშენებელი |
|---|---|

______________________________________________

______________________________________________

**6. თქვენი სიტყვებით ახსენით ფრაზები:**

დღესა და ღამეს ასწორებს ____________________

გაალმასებული ____________________

გულში მოხვდა ____________________

გვერდში ამოუდგა ____________________

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა ____________________

**7. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ფორმით მრავალწერტილის ნაცვლად:**

| ცრემლმორეული წასვლა ნაღვლიანობა უსიტყვო პაპაჩემი გამოღვიძება ოთახი |
|---|

ერთ დილას - ბავშვებს რომ . . . . . . . . . . - დავინახეთ, უფროსები ძალიან . . . . . . . . . . . . იყვნენ. მიზეზი ახმადის . . . . . . . . იყო.

დიდედაჩემი . . . . . . . . . . ბუტბუტებდა და ოთახიდან . . . . . . . დადიოდა: საქმის გაკეთების თავი აღარა ჰქონდა. რძლები . . . . . . . რაღაცას ამზადებდნენ, . . . . . . . . . . კი ქვაზე ჩამომჯდარიყო და ახმადს გზას ულოცავდა:

8. მიუწერეთ სინონიმები:

დიდედაჩემი – ______________________

ნაღვლიანად – ______________________

უსიტყვოდ ______________________

პაპაჩემი ______________________

